ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 200
1877

ივერია

№ 200
1903

სექტემბერი 19, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 19, პარასკევი 1903 წ.

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ნატალია ივანეს ასული მაჭარაშვილისა აუწყებს გარდაცვალებულის ძვირფასის მეუღლის, ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზის

გრიგოლ მაჭარაშვილის

ნათესავთა და ნაცნობთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება კვირას, 21 ს ენკენისთვეს, სოფელ ალის ეკკლესიაში (სადგური გომი, ანუ ხაშური).

(1—1)

წარმოდგენა № 1. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 21 სეკდემბერს 1903 წელს

სეზონის დაწყებისათვის

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრ. 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ბ ნებიერიძისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, დ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, გ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
309	ვარლამ ა. ხარბაია,	6	—
310	კონსტანტინე მიხ. გიგინეიშვ.	6	—
311	ლავრენტი ტულუში	6	—
312	ლუკა იეს. იოსელიანი	6	—
313	თადეოზ გ. კეშელავა	6	—
314	იოსებ ივ. კოხრეიძე	6	—
315	გიორგი ლევ. ქორქაშვილი	6	—
316	ერმილე ნ. გოგავა	6	—
317	ივანე კ. ტყეშელაშვილი	6	—
318	სტეფანე მ. მღებროვი	6	—
319	კონსტანტ. გოცირიძე.	6	—
320	ნესტორ ლ. მესხი.	6	—
321	კონსტანტინე მ. მუმლაძე	6	—
		78	

სულ წლის განმავლობაში 2403—35

ისყიდება

შემოსავლიანი სახლი

ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინაშვილისა. შეიძლება გაიშინჯოს ყოველ დღე დილის ათ საათიდან შუადღის ოთხ საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

(5—6—3)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ნაფიცი ვექილი

გ. ი. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟსკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—9

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი $8^{1}/_{2}$ -8 ს.

ს. ტ. არჯვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა მოსწავლე ბავშვების დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო შემდეგი დეპეშა მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძისაგან:

„ტფილისს. კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ორბელიანისას.

ჩვენ ყველანი გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, მასწავლებელთა კრებულს, კომიტეტის წევრებს და ბავშვებს თანაგრძნობის გამოცხადებისათვის, რომელმაც ჩვენ დიდად გვაამა.

ნიკოლოზ მიხეილის ძე".

ეს დეპეშა პასუხი იყო შემდეგის დეპეშისა, რომელიც პატივცემულმა თავმჯდომარემ მის უმაღლესობას გაუგზავნა 16 სეკდემბერს პარაკლისის გადახდის გამო სათავად-აზნაურო სკოლაში:

„სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეებმა, მასწავლებელთა კრებულმა და სასწავლებლის კომიტეტის წევრებმა დღეს გულმხურვალე ვედრება აღავლინეს, რათა ავადმყოფობისაგან შვება და განკურნება მიენიჭოს განსვენებულს უავგუსტოეს მეფის მოადგილედ ნამყოფს, რომლის უმოწყალესის ნებით დაფუძნებულ იქმნა სკოლა სოფლის თავად-აზნაურთა შვილთათვის. უფალმან მიუვლინოს ჯანმრთელობა ჩვენს უმაღლეს მფარველს.

ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა მოსწავლე ბავშვების დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.

მის უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება მიიღოს რუსეთმა მონაწილეობა მსოფლიო გამოფენაში ჩრდილო-ამერიკის ქალაქ ს.-ლუიში 1904 წელს. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენლად ს.-ლუის გამოფენაზედ დანიშნულია მინისტრის საგანგებო მინდობილებათა აღმსრულებელი მოხელე ესტატე ნიკოლოზის ძე ნიტტე; ვისაც საქმის ვითარების გაგება ანუ გამოფენაში მონაწილეობის მიღება სურს, შეუძლიან მიჰმართოს ამ მოხელეს ქ. პეტერბურგში.

გუშინ შუადღისას, ქალაქის საბჭოს დადგენილებისამებრ, სამხედრო წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში პარაკლისი გადიხადეს მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. პარაკლისი გადიხადა ყოვლად სამღვდელო ბენიამინმა, საქართველოს საექსარხოსო მმართველმა, სამხედრო ტაძრის სამღვდელოებითურთ. დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი და ხმოსნები.

ტფილისის გუბერნატორს ი. ნ. სვეჩინს ოქტომბრის ორს მოელიან ტფილისში საზღვარ-გარეთიდგან, სადაც ამ ზაფხულს იმყოფებოდა.

საოცარ მოვლენის ამბავს ატყობინებენ სიღნაღიდგან „ტ. ფ."-ს: 13 სეკდემბერს, შუადღისას, ერთბაშად ისე ჩამობნელდა, რომ დუქნებში და სახლებში ლამპარები აანთეს. ოცი წამი ასე ბნელოდა და თან როგორც სიღნაღში, ისე მის გარშემო, შავი შხაპუნა წვიმა მოდიოდა, რომელიც შავად მოეფინა სახლის ბანებსა და კედლებს, თითქო მჭვარტლით ან მაზუთით მიუს-მოუსვამთო.

თუთუნის ფაბრიკებში ქალებიც მუშაობენ, ოღონდ ერთი ორი შაური ავიღოთო. ერთს ფაბრიკაში ქალები თავიანთ თავს ხომ არა ზოგავენ და წვრილშვილიც თან დაჰყავთ, შვიდი-რვა წლის ბავშვები, და ამუშავებენ. თუმცა ფაბრიკაში წვრილ ფეხობის მუშაობა აკრძალულია, მაგრამ ამ დადგენილებას ყურადღებასაც არ აქცევენ, როგორც ჯაუგებარნი დედები, ისე ფაბრიკის პატრონები. თუ რომ ინსპექტორი მობძანდა, მაშინვე მივარდებიან ბავშვებს ზედამხედველები და შეამწყვდევენ ერთ საიდუმლო ოთახში ანუ ყუთებში და, როდესაც იდროვებენ, მხოლოდ მაშინ გამოიყვანენ შეშინებულს და გაფითრებულს ყმაწვილებსა, თითქოს ერთი დიდი დანაშაული ჩაედინოთ. ამას გარდა მუშაობა სწარმოებს მთელი დღე, 12 საათი და მეტიც, საუზმისა და სადილის დრო რომ გამოვაკლოთ, აქამდე მუშაობას იწყებდნენ დილის 7 საათზე და ხელს იღებდნენ შვიდ საათზე. ეხლა-კი გამოაცხადეს,—დილით უნდა მოხვიდეთ შვიდ საათსა და თხუთმეტ წუთზე და საღამოს რვის ნახევრამდე იმუშაოთო. მუშებს არწმუნებენ, ვითომც ასეთი განკარგულება საფაბრიკო ინსპექციამ მოახდინაო.

გაზეთ „ბაქოს" პეტერბურგიდან ცნობა მოსვლია, კახეთის რკინის გზას მთავრობა გაიყვანს ხაზინის ხარჯითაო; მუშაობას შეუდგებიან 1904 წელს, ეხლა-კი გამოკვლევა დაიწყებაო.

დედათა შორის სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ ზოგ საშუალო სასწავლებლის პროგრამაში ჩართული იყოს სამეურნეო საგნების შესწავლაც; მეტადრე დედათა საეპარქიო სასწავლებლებში უნდა ასწავლიდნენ მეურნეობას, რადგან სოფლის სამღვდელოების ქალებს უფრო დაახლოვება აქვთ სოფლის ხალხთანაო.

16 სეკდემბერს კრება ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. საბჭომ განიხილა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობა და მეღვინე-მევენახეობის კომიტეტის სხვა-და-სხვა მოხსენებანი. საბჭომ ეს მოხსენებანი არსებითად არ განიხილა და დაადგინა,—ამოირჩიოს კომისია და იმას დაევალოს ამ მოხსენებათა განხილვა. კომისიის წევრებად ამოარჩიეს: ნ. ა. სულთან-კრიმგირეი, გ. ი. გოგოლ-იანოვსკი, ვ. ა. სტაროსელსკი, ვ. ი. რცხილაძე, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ვ. ა. სოკოლოვი, გ. გ. ალიბეგოვი, პ. ი. ყიფიანი და ს. ნ. ტიმოფეევი. შემდეგ საბჭომ განიხილა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოწერილობა სან-ლუის გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ. საბჭომ დაადგინა, აცნობოს მიწად-მოქმედების სამინისტროს, რომ საზოგადოებას სახსარი არა აქვს. თუ სამინისტრო ფულით დახმარებას გაუწევს, საზოგადოებას შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს სან-ლუის გამოფენაში. დასასრულ საბჭომ დაადგინა, საბაღოსნო სკოლის დროებით გამგეობა ჩააბაროს სკოლის უფროს მასწავლებელს ჯაფარიძეს, მმართველის თანამდებობის მსურველთა თხოვნების მიღება განაგრძოს 15 ოქტომბრამდე და შემდეგ აარჩიოს მმართველი.

გაზეთი „კასპი" სწერს: „ამ დღეებში მთავარ-ეპისკოპოსი სედრაქიანი წავიდა ეჩმიაძინიდან სამარას, სადაც ამ ჟამად შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ფონ-ვალია".

16 სეკდემბერს ღამის თავ-შესაფრების გამგე-კომისიამ განიხილა რამდენიმე თხოვნა თავშესაფრებში მყოფ კაცებისა. თხოულობენ, ნება მიეცეთ ხოლმე თავშესაფრებში მეტი ხანი დაჰყონ, ვიდრე ეს წესდებაშია ნაჩვენები. კომისიამ დაავალა თავმჯდომარეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, თვით დართოს ხოლმე ნება თავშესაფარში ყოფნისა დიდხანს ისეთს კაცებს, რომელთაც შრომა არ შეუძლიათ. ამავე სხდომაზე კომისიამ მოისმინა მოხსენება ა. იგ. ავეტისოვისა, რომელიც სწირავს ქალაქის გამგეობას მანქანებს, თუ ქალაქი თავშესაფართან გამართავს შრომის სახლს. კომისიამ დაადგინა 21 სეკდემბერს დაათვალიეროს შეწირული მანქანები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ახლად დაარსებულ სკოლის იმ მოწაფეებს აძლევს მხოლოდ დახმარებას, რომელნიც ლიანდაგზე მსახურობენ, შტატში არიან ჩარიცხულნი, მოხელეთ შვილებს და მხოლოდ ერთი განყოფილების სწავლულთ. ამათ თვეში 10 მანეთი მიეცემათ, ხოლო ლიანდაგის იმ მოხელეთ, რომელთაც ქალაქში სახოვრებლად ფული არა აქვთ, გამგეობა ურჩევს დაუყონებლივ ჩაეწერონ რკინის გზის შემნახველ კასსაში წევრებად. ამ კასსიდან ყველა წევრს ორი თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამაგირი წინად მიეცემა სესხად და მერე ნაწილ-ნაწილ გამოერიცხება.

ქუთაისის ქალაქის საბჭო.

ორშაბათს, 15 სეკდემბერს, საბჭოს კრებას დაესწრნენ ოცდათუთხმეტი ხმოსანი. ეს მოვლენა იშვიათი არის ქუთაისის საბჭოსათვის და უნდა მივაწეროთ იმას, რომ დანიშნული იყო გასარჩევად რამდენიმე საყურადღებო საქმე. საბჭოს უნდა გაერჩია ამ სხდომაზედ 24 საგანი, მაგრამ ქალაქის მოურავმა მოახსენა მხოლოდ რამდენიმე და დანარჩენი კი გადაიდვა შემდეგისათვის, რადგანაც ველარ მოასწრეს. უმთავრესი იყო შემდეგი:

ა) მოხსენება ქალაქის გამგეობისა შესახებ რამდენისამე მუხლის შეცვლისა სავალდებულო დადგენილებათა ქუჩების და ქვაფენილების გაკეთებისა და მოვლისა.

ბ) ქალაქის გამგეობისა და მარგანეცის მრეწველთა საბჭოს შორის პირობის შეკვრისა შესახებ ქიმიურ ლაბორატორიის ქუთაისში საერთო ხარჯით დაარსებისა.

გ) თხოვნა ყოფილის კასსირის იოსებ ქილაძისა, შესახებ პენსიის დანიშვნისა ოცდა ექვსის წლის სამსახურის შემდეგ.

საბჭომ დაადგინა პირველ საგნის შესახებ: ქუთაისში გზატკეცილების მაგიერ ქუჩები მოიფინოს რიყის ქვით (**МОСТОВАЯ**), ვინაიდგან უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ადვილად შეიძლება დაიცვას სისუფთავე და ტალახიც კოტა დადგება წვიმის დროსაო. შემდეგ დიდი კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომლის ძალითაც უნდა დავალებოდა მემამულეებს ყოველდღე დაგვა და დაწმენდა ქუჩებისა და ქვაფენილისა; უწინდელის დადგენილებით-კი სავალდებულო იყო დაგვა კვირაში ორჯერ.

ზოგიერთმა ხმოსნებმა განაცხადეს, რომ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქის სისუფთავისათვის ყოველდღე დაგვა-წმენდაო და რომ მოხერხდებოდეს, დღეში ორჯერაც საჭირო არისო, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა, თუმცა აღიარა, რომ სისუფთავე ყველასათვის სასურველი არისო, უფრო პრაქტიკულის თვალით შეხედა საქმეს და განაცხადა, რომ მემამულეებს გაუჭირდებათ დღევანდელ მდგომარეობაში (სანამ მეეზოებს გაიჩენდნენ ყველანი) შეასრულონ მაგისთანა გადაწყვეტილებაო. ამდენი ხანი ძველს დადგენილებასაც ვერ ასრულებდნენ, ე. ი. კვირაში ორჯერაც ვერ ჰგვიდნენ და ყოველდღე როგორ მოახერხებენო. ეს დადგენილება გამოიწვევს ბევრს უსიამოვნობას მეპატრონეთა და იმათ შორის, ვინც ვალდებული იქნება თვალყური ადევნოს სავალდებულო დადგენილების ასრულებასაო. ამის შედეგი იქნება ყოველ დღე ოქმების შეყენება და სასამართლოში სიარულიო. მცხოვრებლებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებაო, რომ ფულად გადავახდევინოთ და თვით ქალაქის გამგეობამ იკისროს დადგენილების სისრულეში მოყვანაო. საბჭომ დასტოვა ძალაში ისევე ძველი გადაწყვეტილება.

მეორე საგნის დაწვრილებით შესამუშავებლად ამოირჩია კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ ხმოსნები: თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ს. ვ. თოფურია, დ. ბ. აბდუშელი, ა. ს. საყვარელიძე და ზ. კ. მაჭავარიანი. კომისიას დაევალა, პირობა შეიმუშაოს ერთი კვირის განმავლობაში და მოახსენოს საბჭოს შემდეგს კრებაზედ. ყოფილ კასსირის ი. ქილაძის თხოვნაც დააკმაყოფილა საბჭომ. მიიღეს მხედველობაში მისი 26 წლის სამსახური და 24 ხმით, წინააღმდეგ 11 ხმისა, გადასწყვიტეს დაენიშნოს პენსია ყოველწლიურად 400 მან. პირველი შემთხვევა არის ამისთანა გადაწყვეტილება ქუთაისის საბჭოს მიერ და ეს მაგალითი სხვა მოსამსახურეებსაც გაამხნევებს.

ჩვენებური ამბები

სურამი. ესრედ-წოდებულმა „მუნჯურმა მეთოდმა" სურამის საზოგადოების კანცელარიაშიაც იჩინა თავი... აქამდე მამასახლისის მწერლად ქართველი კაცი იყო ხოლმე, მაგრამ ამ ცოტა ხანში იგი გადაყვანილ იქმნა ხაშურში სურამის პოქაულის მწერლად და მის მაგივრად დაინიშნა სომეხი, რომელმაც სრულიად არ იცის ქართული. ახლად დანიშნულმა მწერალმა იმდენი კი იცის, რომ იცოდეს, რომ გაიგოს სოფლელთა თხოვნა, ვინ დაეძებს, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ესეც არ იცის... მამასახლისი უმეტეს შემთხვევაში სხვაგან არის და ამ დროს მოდის აუარებელი გლეხ-კაცობა კანცელარიაში და არ იცის, როგორ გადასცეს მწერალს თავისი თხოვნა. დარჩენია გლეხ-კაცს, რომ იმ დროს მივიდეს კანცელარიაში, როდესაც მამასახლისი იქ არის, მაგრამ არც თუ მამასახლისის იქ ყოფნა შველის საქმეს, რადგან თვითონ მამასახლისმაც იმდენი იცის რუსული, რომ მწერალთან ლაპარაკის დროს მუნჯურ მეთოდს მიმართავს ხოლმე. ბევრჯელ დაიჩივლა თვით მამასახლისმაც: „მე რუსულისა არა გამეგება-რა და მწერალს ქართულისაო; ბევრჯელ მწერალი მომიტანს ქაღალდებს და მეც ზედ ხელს ვაწერ, თუმცა არ ვიცი, შიგ რა სწერიაო".

ეჭვს გარეშეა, ამ ანორმარულს მოვლენას ეჭირვება საჩქაროდ ყურადღების მიქცევა.

ს. არდაძე.

საჯევახო *). აგვისტოს გამუდმებული წვიმებისა და უამინდობის გამო, სამწუხარო ამბავი უნდა ვაცნობოთ მკითხველ საზოგადოებას. ყველასათვის ცხადია მგონი, რომ უმთავრესი საცხოვრებელი სახსარი მთელის დასავლეთ საქართველოისა არის ხვნა-თესვა. აქეთ სიმინდს პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენებური მხვნელ-მთესველნი გულდაწყვეტილნი და დაღვრემილის სახით შეჰყურებენ თავიანთ ყანებს, რადგანაც მათგან წელს ვერაფერს იმედს ვერ ხედვენ. გამუდმებულმა ზაფხულის წვიმებმა და ხშირმა ქარმა გაათხრა ჩვენი ყანები. 5 აგვისტოს, ღამით, ძლიერმა წვიმამ და საშინელმა ქარმა წარმოუდგენელი ზარალი მისცა მთელს დასავლეთ საქართველოს. ყანები ამ ღამეს ზოგი წყალმა წალეკა და ზოგიც (მაგალითად, მთიან ადგილებში) ქარმა გააფუჭა. ვერაფერი იმედი გვაქვს წლევანდელი მოსავლისა, რაც ძლიერ გვაშინებს ყველას. ამ გვარს მწუხარებას გვიორკეცებს კიდევ ის გარემოება, რომ ბევრ ალაგას, ვისაც ძველი სიმინდი ჰქონდა საზრდოთ შენახული, გალოლოვდა და სრულიად წაგვიხდა.

ჯერ-ჯერობით სიმინდის პეპელა გაჩენილია დასავლეთ იმერეთის მხარეს, „საჯევახოს" სოფლების მიდამოებში, და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს სიმინდის ჭირი ყველგან გავრცელდეს, თორემ მცხოვრებთ შავი დღე არ აგვცდება. კარგი იქნება, რომ თუ სიმინდის ასეთი ჭირი გავრცელდა, მთავრობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და მცხოვრებნი აუცილებელ უბედურებისაგან დაიხსნას. საფიქრებელია, რომ სიმინდში პეპელა წლევანდელმა ზაფხულის ავდრებმა და ნოტიო ამინდებმა გააჩინა.

ყურძნის მოსავალსაც შავი დღე დააყენა ზაფხულის უკუღმართმა ამინდებმა. ძველ დროში თავისის კარგის ღვინოებით განთქმულს „საჯევახოელს" მაღლარ მამულებს, წელს შესამჩნევად ესხა, ხალხი დაიმედებული იყო ღვინის მოსავლითა, მაგრამ ამაშიც ბედმა გვიმტყუნა. ნოტიო ამინდების წყალობით გამხნევებულმა „ნაცარ-ოზმა", ამ მუდმივმა მტერმა ღვინის მოსავლისამ, წელს თავისი ძალ-ღონე გაიორკეცეს და ღვინის მოსავალსაც გამოგვასალმეს. დიდად სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ „იზაბელას" ვაზმაც წელს თავი დაგვიკრა და თვის უხვი მოსავალი მოგვაკლო. შესამჩნევია, რომ „ჩვენებური" ვაზის ჭირი „იზაბელაზედაც" გადადის, რის გამოც „ადესის" ღვინის მოსავალმა დიდად იკლო. ვისაც დაბლარი დამყნილი მამულები ჰქონდა, იმათაც ძლიერ ხელი შეუშალა წლევანდელმა უამინდობამ, რადგან წამლობა ვერ მოახერხეს, როგორც რიგი იყო. რადგან შეჩვეული ვართ დიდი ხნიდგან «ულვინობას», როგორც იქნება, მოვითმენთ, და უსიმინდობა-კი ღმერთმა გვაშოროს ყველას.

ბუნებისაგან მოყენებულ სიმწუხარეს და უბედურებას ვინ აღუდგება წინ ან რა ხმა გვაქვს მასთან მხოლოდ გულსაწყვავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ულირსნი პირნი თვისის შავის და ბოროტის მოქმედებით ხშირად მწუხარებას მიაყენებენ ხოლმე კერძოდ რომელიმე სოფლის მცხოვრებთ. მაგალითად, 14 აგვისტოს, ღამით, სოფელ ოფეთში (ქუთაისის მაზრა, მუხაყრუის საზოგადოება) ვიღაც ბოროტმოქმედებმა თავის ოჯახში ცოლშვილის თვალწინ, რევოლვერით სიცოცხლეს გამოასალმა აქაური მცხოვრებელი ბაქარ ნიკოლეიშვილი, რომლის ასეთმა საზარელმა ულვთო სიკვდილმაც მახლობელ მცხოვრებთა გული შეაძრწუნა. ბაქარა ნიკოლეიშვილი თავის სოფელში პატიოსან მშრომელ პირად ითვლებოდა და თვისის დაუღალავის შრომის წყალობით, ვაჭრობით თუ სხვა-და-სხვა მეცადინეობით, გვარიანად ცხოვრობდა.

როგორც იმ ღამეს ბაქარა ნიკოლეიშვილის უბედურ ოჯახში შემთხვევით სტუმრად მყოფმა, ბაქარას ნათესავმა, აგვიწერა საზარელი მკვლელობის სცენა, ავაზაკნი ოთხნი ყოფილან, რომელნიც ამოღებულ ხანჯლებით და რევოლვერებით შემოცვივნულან სახლში. დაუნახავს რა ავაზაკების მსხვერპლს აუცილებელი უბედურება, უთხოვნია ბოროტ-მომქმედებისთვის: „ყველაფერი წაიღეთ, ოღონდ ნუ დაგვხოცავთ"-ო, თან უჩვენებია კედელზედ ჩამოკიდებულ, ახალუხზედ, — ფულად ჩემი ქონება ახალუხის ჯიბეშია და ამოიღეთო. ერთი ავაზაკი ახალუხს მივარდნია და დანარჩენებს სხვა ნივთებისთვის დაუვლიათ ხელი. „მარტო ამ ნივთებით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებითო",—უთქვამს ერთს მათგანს და შეუბრალებლის ხელით რევოლვერი დაუხლია, რომლის ტყვიას უბედური ოჯახის მამა სასიკვდილოდ დაუჭრია. აქ დამსწრე პირიც ვერ აღწერს სავსებით იმ საშინელ სურათს, რაც იმ წამს დაემართებოდა უბედურის ცოლშვილს. ავაზაკები, დარწმუნებულან რა ბაქარას სიკვდილზედ, გაქცეულან. როგორც ამბობენ, წაუღიათ ოცდახუთი თუმანი ფული, ერთი კარგი ხმალი და სხვა ნივთები. ამბობენ, ავაზაკნი უფრო სასიკვდილო მიზნით მისულან ვიდრე გასაძარცვავადაო. ეს მტკიცდება იმით, რომ ვერცხლის ქამრებისა, საათისა და სხვა ვერცხლეულობისთვის არ უხლიათ ხელი, თუმცა ყველა ისინი თვალსაჩინო ადგილას ეწყო. როგორც ამბობენ, პოლიციას შეუპყრია ორი ვიღაც შენიშნული პირი და უჩვენებიათ მოკლულის ოჯახში მყოფებისათვის, რომლებსაც უცვნიათ იმ ღამეს ბოროტ-მომქმედ პირებად. იმედი აქვთ, რომ დანარჩენ ორ ავაზაკსაც შეიპყრობენ. ის ორი ავაზაკი შეიპყრეს აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. სისხლის მსმელ მხეც ადამიანის გული რამდენად ულმობელი უნდა იყოს, რომ, თუ ნივთიერ ქონება წაართვეს უბედურს ოჯახს, ოჯახის მამას რაღად მოუსპეს სიცოცხლე?!

მელქისედეკ ჩიდოსვაძე.

სოფ. სნო (ხევი, დუშეთის მაზრა). იყო დრო, როცა იმის წუხილში ვიყავით, ხალხი სწავლა-განათლებას არ ეტანებაო, რა ბედნიერნი ვიქნებით, როცა ხალხში სწავლა-განათლების სურვილი გაიღვიძებსო; დრონი იცვალნენ თან-და-თან. ცოტა არ იყოს, ახლა ყველას სურს თავისი შვილი აღზარდოს სკოლაში; ყველა სწავლისკენ იზიდვის (თუმცა სუყველა-კი არა, მაგრამ უმეტესი ნაწილი), მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველ მსურველისთვის თითქმის ადგილებიც აღარ არის.

სოფელ სნოში წელს სკოლას ემატება მეოთხე განყოფილება. აქამდის აქ სამი განყოფილება იყო.

სნოს სკოლას ჰყავს ორი მასწავლებელი, ერთი ქალი და ერთიც ვაჟი—ქალბატონი ხაინდრავა და ბ-ნი კვაჭაძე.

აცივდა. ცუდი ამინდი დგას. ძნები ჯერ შესაკრეფია. ჩვენი მეცხვარეებიც ემზადებიან საზამთროდ.

კავკაველი ა. ყ.

სოფ. ნაზრანი (ქისტეთი, თერგის ოლქი). 10 სექდემბერს აქ მოხდა არა იშვიათი ამბავი. ამავ სოფლის მცხოვრებლები ბიძაშვილები, ოსლაკო მაჩოკიევი და აშახმედ ბორთიევი წასულან თავისს სიმინდში საყარაულოდ იმ აზრით, რომ ბოროტ-მოქმედთათვის თვალი ედევნათ და

---

*) „საჯევახოს მხარე" შეიცავს რამოდენიმე საზოგადოებას და მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით იმერეთისა.

ფელეტონი

აღელვებული ოჯახი.

(შემდეგი *)

IV

გიორგობისთვის უკანასკნელი კვირა დადგა. დიდის ხნის მოშავბედებულმა ცამ განუწყვეტელი წვიმა მოაყოლა. ორის დღის შემდეკ წვიმა თოვლ-ჭყაპად შეიცვალა; ზედ მოჰყვა ძლიერი ქარიშოტი, რომელმაც გაშიშვლებული ტყე-მინდორი და საცოდავად აბუზულ-გატიტვლებული ხეხილი საზარელის ხმით ააწივლ-აზუზუნა. ღამდებოდა. გაცოფებული ბუნება თანდათან უფრო იღორბლებ-იღრინებოდა. იმ ღამეს მთებზედ აღლის სიმაღლემდის დასდო თოვლი; ბარადაც საკმაოდ მოფიფქა, რომელიც მეორე დღეს წინდის ყელამდის შეასრულა გადიოდა დღე-დღეზედ და სიბრაზისაგან მრისხანედ დაღრეჯილი ბუნება მაინც თავისას არ იშლიდა, თავ-ზარ დაცემის ხმით ღრიალებდა. ერთის სიტყვით, უშვშოდ დარჩენილს და თითქმის ნახევრად ტიტველა იქცეველებს თეთრმა ქარმა შეუტია. მცხოვრებთ დაეკრიბნათ გულხელი და შესცქეროდნენ აზვირთებულს ბუნებას. რა დარწმუნდნენ, რომ აღარც გაშმაგებულმა ბუნებამ შეიბრალა ისინი, დაირეკეს საქონელი, შინაური ფრინველები, შეიჯუჯგნენ ბოსლებში და კარი მაგრად მოუკეტეს აკორიანტებულს ბუნებას. ბუნება ზუზუნ-წუწუნით თუმცა ბევრს ემუდარათ ხან ბუხრიდგან, ხან კარებიდან, მაგრამ აღარც იმათ შეიბრალეს და კარი არ გაუღეს. ამაზედ თითქოს განრისხდა ბუნება, დაუკრა იმ ღამეს და მთელი სოფელი ისე გადანავქრა, რომ მეორე დღეს სოფლობა აღარ ეტყობოდა. თეთრმა ქარმა იქცეველებს თორმეტი ასეთი დღე დააყენა. ეს იყო და ეს, მთელ ზამთარს ჩაიკეტნენ და ჩაიკეტნენ ბოსლებში. ესეც არ აკმარეს არა ჩვეულებრივს სტუმარს. ღამ-ღამით ერდო-სანათურებს ისე იჩულავდნენ, რომ ჭიატიც არსად გადიოდა; არც გარეთა ჰაერს უშვებდნენ შინ და არც შიგნითას გარედ.

დახშულმა ჰაერმა გააჩინა რაღაც ავად მყოფობა, რომელიც ხალხს უწყალოდ ჰმუსრავდა. ამ სენმა უნახავ-უვნებელი არც მსხვერპლაძიაანთ აღელვებული ოჯახი დასტოვა. ორის კვირის განმავლობაში იოკიმეს ორი ვაჟი და ერთი ქალი დაუხოცა, რამაც უზომოდ მხიარული ოჯახი ისე დაალოხ-დაამგლოვიარა, რომ კაცს ეგონებოდა: კედლებიც ოხრავენო. სწუხდნენ: იოკიმე თავის მეუღლით შვილებს, იოკიმეს დედმამა შვილიშვილებს. ათი წამი არ გაივლიდა, რომ კაცის ყურს არ გაეგონა: „ვაი თქვენს დედასა, შვილებო"! უი თქვენს დიდედასა, შვილებო": „ვაიმე შვილებო"; „ვაი პაპა-თქვენის მოსწრებასა, შვილებო". იოკიმეს შვილების სიკვდილმა იმას დედ-მამას ისეთი მძლავრი მწუხარება აგრძნობინა, რომ მთლად დაილივ-დაიწრიტნენ, მუშტის ოდენად მოიბღუნძნენ.

მწუხარებისაგან გატეხილს საბას და მის მეუღლესაც შეხვდათ „მოარული", რომელიც სიცოცხლეს ნელ-ნელა უხუთავდა. სამს დღეს მიბინარებულები ლოგინში იწვნენ. ამ ხნის განმავლობაში, საქონლის მოვლის შემდეგ, იოკიმე ჩამოჯდებოდა ტახტზედ და მუხლებზედ ნიდაყვ დაბჯენილი თავის ყბებს ხელებში ჩაიდებდა. იჯდა საცოდავად დაღვრემილ-თავ-ჩაქინდრული და მწარე ფიქრებს ეძლეოდა; ხან შვილებზედ ფიქრობდა, ხან ავადმყოფ დედმამაზე, ხან მეუღლეზე და ხან თავის თავზედ. წარმოიდგენდა თავის მიცვალებულს შვილებს და ჩაეთუთქებ-ჩაეკნაჭებოდა გული.

— შენ დაგელოცოს, ღმერთო, ეგ სამართალი!—იტყოდა ხოლმე გამწარებული — რა შევცოდე სამაგისოო, რომ ასე უდროვოდ გულიდგან სამ-სამი შვილი მომწყვიტე?!. ე ე-ე, მადლობა შენთვის უფალო!

სევდით მოცულის ფიქრებით დანარჩენს შვილებზედ გადავიდოდა და გულში იტყოდა:

„დალოცვილმა ღმერთმა ესენიც რომ მომტაცოს, რაღა მეშველება?!. არა, არა, არც აგრე აიღებს ღმერთი ჩემზედ ხელსა", ანუგეშებდა თავის თავს იოკიმე, მაგრამ შავი ფიქრები მაინც არ შორდებოდა: „ეს ჩემი ოჯახის ბურჯები ხელიდგან რომ გამოიმაცალოს იმ დალოცვილმა ღმერთმა, ფიქრობდა დედ-მამაზედ, —ხომ დავიღუპე და ეგ არის?! ოჰ, ღმერთო, ნუ დამღუპავ, ნუ ამომწყვეტავ!.." აქედგან ფიქრს მეუღლეზედ და თავის თავზედ გადაიტანდა: „ის რომ მოკვდეს, ან მე. მერე?! ოჰ, ოჰ, ეს ისედაც გამწარებული ჩემი დედ-მამა ხომ თავებს დაიხოცენ და ის არის?!. ღმერთო! ნუ აჩვენებ მოჰეტებულს მწუხარებას, შენი სახელის ჭირიმე, ნუ!"

ასეთივე მწარე ფიქრები გულს უღრღნიდა მის მეუღლე მაგდანს, რომელიც, როგორც სუსტი არსება, სულ ცრემლად იღვრებოდა.

სამის დღის შემდეგ იოკიმეს დედ-მამამ ისე დაიწყეს იქაურობის თვალიერება, კითხვა-ლაპარაკი, რომ კაცს ეგონებოდა, მოიხედეს და საქამო ნიშან-წყალი დაეტყოთო. ერთს ხანს გარედ გამოსვლა და მიხედ-მოხვედვაც მოინდომეს. იოკიმეს დედა თითონ გამოვიდა, საბა-კი ხელით გამოიყვანეს. სიცხისაგან ამღვრეულის თვალებით ისე ხარბად აკვირდებოდნენ, ისე ძირის-ძიროობამდის ათვალიერებდნენ მთელს არე-მარეს, თითქოს რაღაც დაუკარგავთ და იმას დაეძებენო. ნელ-ნელა კრუსუნსვენებით დაიარეს მთელი მიდამო და დიდად გახელილის თვალებით ნახული სურათები ხარბად შთაიბეჭდეს ხსოვნაში. მივიდნენ დერეფნის კარებთან, შეჩერდნენ, ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი მთელს კარ-მიდამო-არემარეს, თითქოს ყოველს არსებას, ყოველსავე ქმნილებას ყოველივე დანაშაული მიუტევეს და მათგანაც თხოულობენ მოტევებასაო; შევიდნენ ბოსელში და სასო-წარკვეთილნი ლოგინებში მიწვნენ. მაგდანს და იოკიმეს მორჩენის იმედი მიეცათ, მაგრამ ამაოდ... ეს ის საუკუნო გამოსალმებაა, რომლის წესს ინსტიქტიურად ასრულებენ ზოგიერთნი მომაკვდავნი. ჩვენი მოხუცი ავადმყოფნიც ამ წესით გამოესალმნენ საუკუნოდ არე-მარეს, სადაც პირველად აახილეს თვალი, სადაც პირველად გაბედნიერდნენ; გამოესალმნენ მთელს თავიანთს შრომის ნაყოფს, მთელს კარმიდამოს, რომელიც მთელს თავიანთ სიცოცხლის განმავლობაში სტკეპნეს.

ცოტა შესვენების შემდეკ, იოკიმეს დედამ მიიხმო რძალი,

-- მოდი, შვილო, ანდერძი უნდა გითხრა.

რძალი შეკრთა, ტანი აუჟრჟოლდა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, უპასუხა:

-- რათა, დედამთილო, საანდერძე რა გიჭირს.—ამ სიტყვებით მივიდა და ახლოს მიუჯდა.

— შენ ვერ მატყობ, შვილო, თორემ როგორ არ მიჭირს.. აგერ თავზედ სულთა-მხუთავი მადგია.

— უი მე-ე, ღმერთმა დაგიფაროს.

— რატომა, შვილო? ჩემი ჭრუკების სიკვდილის შემდეგ მე რაღა საცოცხლებელი ვარ?!.

ჭრუკების გაგონებაზედ რძალმა ჩუმი ტირილი ამოუშვა.

— რახან გულს მოშველავ და ამ სიკვდილის ჟამს არ გამიგონებ, ეგ რაღა გამოვიდა?!.

ამ სიტყვებმა იოკიმეს ყურამდინ მიაღწია.

— რას არ გიგონებს, დედა?—გულმტკივნეულად იკითხა იოკიმემ; მაგრამ როცა ლაპარაკის საგანი გაიგო, თითონაც ქვითინი ამოუშვა.

—აი რა სულელი ხარ, შვილო! - უთხრა იოკიმეს. — რა გატირებს? შენ არ იცი, რომ დედმამა დაიხოცებიან და შვილები დარჩებიან?! რა ჯიელები ჩვენა ვართ; ჩვენ ჩვენი დრო მოგვიჭამია... ვაი რომ შვილის-შვილების სიმწარეს მოვესწარით, თორემ ჩვენ რაღა სატირლები ვართ... ღვთისაგან დაწესებულია, რომ დედ-მამა უნდა დაიხოცნენ, შვილები-კი დარჩნენ... დარჩით და გაძლიერდით, შვილებო! ყური მიგდეთ: დედ-მამის ლოცვა კარგია!

აქ იოკიმეს დედამ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, წამოჯდა ლოგინში და თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი:

— უფალმა ღმერთმა და ღვთის მშობელმა პატიოსანმა დიდ-ხანს გაცოცხლოთ, გაგაძლიეროთ. დანარჩენი შვილები გიცოცხლოთ, გაგიძლიეროთ და თქვენი მორჩილი გამოიყვანოს. ეგ მწუხარება გაკმაროთ და დანარჩენ შვილებზე ლხინად შეგიცვალოთ... იყავი, შვილო, ერთგული ქმარ-შვილისა და მორჩილი ქმრისა. ერიდე ჭორსა და ენატანიობას, ცილის-წამებას და ყოველსავე ბოროტებას. გაუტანელსა, უნდობსა და ნაძრახს ხალხთან სამეზობლოდ ნუ მიხვალ. ვინც მეტს გაივლის, იმასთან საციქვლისათვის ნუ მიხვალ; ვინც ალალი და გამოსადეგარია, იმას საციქველს ნუ დაუჭერ ნუ გაიხდი ქურდს ხანულად და მოჩხუბარს—ამხანაგად... შენც, შვილო იოკიმე, ერთგული იყავ ცოლშვილისა! ნუ დაივიწყებ, რომ შენის ცოლშვილის მოვალე ხარ წინაშე ღვთისა... გახსოვდეთ, შვილო, რომ „მიცის" „მოცია" უნდა და „მოცის" „მიცია". ტანჯულიანთ ტასიასი სამი პური მმართებს; მღიდარაანთ მარიამასი ერთი ნეკი ძაფი და მიეცით, ჩემს სულს ნუ დაუმძიმებთ!.. ტანჯულიანთ სიდოს ხუთი მანათი მართებს, გაჭირვებულიანთ მარიამას ერთი კასრი პურის ფქვილი; ღარიბაანთ ლექსოს ცოლს შვიდი კვერცხი; უბედურიძის ცოლს ერთი ჩაის სტაქანი ერბო, თუ

---

*) იხ. „ივერია" № 199.

მიესწროთ მათთვის, რომელთაც სამჯერ თუ ოთხჯერ გაეოხრებინათ სიმინდი. ღამე ყარაულობის დროს ასლაკო ბოჩაკიევს ჩასძინებოდა და ცოტა ხნის შემდეგ რაღაც შრიალს გამოეღვიძებინა. გამოღვიძების უმალვე ასლაკოს დაემიზნა თოფი იქით, საითაც შრიალის ხმა მოისმა. თოფის ხმის შემდეგ კივილის ხმა მოესმა: „ძმაო, მომკალ განა?" მივარდნოდა იქით მხარეს, საითაც ხმა მოესმა, და ეცნო თავისი ბიძაშვილი. საწყალმა 11 სექტემბერს დილის 10 საათზე განუტევა სული.

კავკაველი ა. ყ.

დ. ხონი. ამ ზაფხულს ხონს ცოტათი ეტყობოდა ქუჩების და დუქნების სისუფთავე, მაგრამ როგორც-კი დადგა შემოდგომის თვე, მაშინვე მიანება თავი სანიტარულმა კომისიამ და ადგილობრივმა ბოქაულმა მათ სისუფთავეს. რა მიზეზია, არ ვიცით. ხონის ბაზრის ქუჩები ისე არის გაფუჭებული, რომ თუ არ ეტლით, ფეხით ღმერთმა დაგიფაროთ გავლა: თუ ერთი ფეხი წაგიცდათ, შიგ ტყაპანს მოადენთ და ღმერთმა უწყის, როგორ დამშვენებული ამობრძანდებით ტალახიდან. ყოველ ქუჩაზედ დამდგარა ქაობები, რომელიც სავსეა ყვითელ წყლით და, რასაკვირველია, ამ დამპალ წყალში არხეინად დასცურავენ გომფაშოები თავიანთებურის ჭიკჭიკით.

როგორც-კი მზე სტყორცნის თავის მხურვალე სხივებს ამ ქაობებს, მაშინვე ადგება ორთქლი და მყრალი სუნი. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი არის ამ მყრალ სუნით ციებ-ცხელებაში ჩავარდნილი?

თუ დროზედ არ უშველა ბ-ნმა ბოქაულმა ამ გომფაშოებიან ქაობებს, შენი მტერია, ან ციება ამოგვჟლეტს და ან სხვა რამე სენი.

ადამიშვილი.

რუსეთი

საერთო განათლების სამინისტროში ორი ახალი განყოფილება დაარსდება: ერთის გამგებლობაში იქნება ყველა უმაღლესი და შუათანა სასწავლებელი, ხოლო მეორისაში — დაბალი სკოლები.

— განზრახვა აქვთ შემოიღონ, სამღვთო წერილის სწავლება სკოლებში შეეძლოთ ერის-კაცთაც, მხოლოდ სამღვდელოთა ზედამხედველობითა და მეთვალყურეობით.

— პოდოლიაში გლეხ-კაცობა უფრო მეტის ხალისით აარსებს თურმე სამინისტრო სკოლებს, ვიდრე სამრევლოებს. ამ გარემოებას მეტად გაუმწვავებია ურთიერთობა ამ ორ-გვარ სკოლების უწყებათა შორის.

— კიევში ებრაელმა ყმაწვილმა კაცებმა, რომელთაც გიმნაზია გაუთავებიათ, გარნა უნივერსიტეტში არ მიუღიათ, რადგან იქ შესვლის მსურველთა რიცხვი «ნორმას» გადასცილებია, პეტიცია მიურთმევიათ ქალაქის მოურავისთვის, გვიშუამდგომლეთ, რომ მთავრობამ მიგვიღოს უნივერსიტეტში და ნორმას ნუ მიჰხედავსო. პეტიციაზე 24 კაცს უწერია ხელი. ჩვენც მართლმადიდებლებთან ერთად ვიღებთ მონაწილეობას საერთო განათლებისათვის დაწესებულს ხარჯებში და რად უნდა გრჩებოდეთ უსწავლელნიო. ოდესის ქალაქის მოურავმა ორჯერ ითხოვა ებრაელ ყმაწვილ-კაცთათვის ასეთი წყალობა და ორჯერვე შეწყნარებულ იქმნა მისი თხოვნაო. კიევის ქალაქის მოურავს თანაგრძნობით მიუღია პეტიცია და შესაბამი თხოვნა კიდეც გაუგზავნია პეტერბურგს.

— დაბანდდა პურის გზავნა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზედ. ამ ჟამად 12,000 ვაგონია გაჩერებული, პურის ხორბლით სავსე.

— ხერსონის გიმნაზიის მეხუთე კლასში 50-დგან მხოლოდ ერთს გამოუცხადებია სურვილი ბერძნულის ენის სწავლისა. როგორც ამბობენ, ამ ერთის სწავლება ბერძნულისა გიმნაზიას კვირაში ერთი თუმანი დაუჯდება.

— 25 სექტემბერს რუსეთის სავაჭრო ზღვაოსნობის შემწეობისათვის დაარსებული საზოგადოება 30 წლის არსებობის დღეს იდღესასწაულებს.

რუსეთში იმყოფებიან ამ ჟამად სოფიიდან მოსულნი ცნობილნი საზოგადოებრივნი მოღვაწენი: პროფესორი სლავიანთა ფილოლოგიისა ლიუბომირ მილეტიჩი და პროფესორი ფილოსოფიისა ი. გეორგოვი. პროფესორებს უნდათ გაიცნონ რუსეთს ნამდვილი მდგომარეობა მაკედონელთა და მეტი თანაგრძნობა გამოიწვიონ საზოგადოებაში ტანჯულთა მიმართ. 100,000-ზედ მეტი მაკედონელი დღეს თურმე უსავნოდ, ულუკმაპუროდ და უტანისამოსოდ არის დარჩენილი ამ ზამთრის პირად. შეწირულებათა მიღება უკვე დაიწყო. შეწირულებანი მოდის უფრო ინგლისიდან.

უცხოეთი

იაპონია. იაპონიის ჟურნალ-გაზეთობას დიდი მსჯელობა აქვს რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობის შესახებ. უმეტეს ნაწილად იმ აზრს ადგანან, რომ ამ სახელმწიფოთა შორის აუცილებლად მალე მოხდება შეტაკებაო. იოკაჰამელი გაზეთი „იაპან მალ"-ი ამის შესახებ ამბობს,—ის აზრი, ვითომ რუსეთსა და იაპონიას შორის ამ ახლო მომავალში ასტყდება ომი, უსაფუძვლოა; მხოლოდ ყოველ ეჭვს გარეშეა,—და ვგონებთ, არც რუსები იტყვიან ამის უარსა,—თუ რუსეთმა არ შესცვალა ეხლანდელი პოლიტიკა, ჩვენს შორის აუცილებლად ასტყდება ომი; ამას მიტომ ვამბობთ დაბეჯითებით, რომ კარგადა გვაქვს შესწავლილი იაპონელთა ხასიათი და მათის მოთმინების საზღვრები.

ინგლისი. ოფიციალური გაზეთი „პრ. ასსოც."-ი აცხადებს,—ბალფურმა გადასწყვიტა,—რაც შეიძლება ძლიერი სამინისტრო შეადგინოს და ამისათვის განზრახვა აქვს ისეთი გავლენიანი მოღვაწენი მიიწვიოს, რომელთაც მთელი ერი პატივსა სცემს და ნდობით უყურებსო.

გაზ. „დეილი მეილ"-ის სიტყვით, მთავრობა იმედოვნებს, — მომავალ სესიის დროს წარადგინოს და დააკანონოს მთელი რიგი სხვა-და სხვა პროექტებისა; მაშასადამე საზოგადო არჩევნები ერთის წლის შემდეგ თუ მოხდებაო. ზოგიერთი გაზეთი-კი უფრო ეჭვის თვალით უყურებს ამ საქმეს., მაგ. ერთი გაზეთი სამართლიანად ამბობს, — თუ მართალი გამოდგა ხმები მომავალ მინისტრთა შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ სამინისტრო უფრო „მინისტრთა ამხანაგების კაბინეტი" იქმნება და ამიტომ გაუჭირდება დიდი გავლენა და ნდობა მოიპოვოს ხალხშიო.

გაზ. „ტაიმს"-ი ამბობს, - თუ მთავრობას სწადიან კვლავ გაძლიერდეს, საკმარისი არაა მარტო „ძლიერ ელემენტების" შემატება, არამედ საჭიროა შემუშავება გარკვეულის პროგრამმისა საბრძოლველად. პოლიტიკოსთა წრეებში უფრო იმ აზრისანი არიან, რომ მთავრობა იძულებული იქნება საზოგადო არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოს, როცა საარჩევნო ოლქებში დასრულდება იოსებ ჩემბერლენის სააგიტაციო კომპანიაო.

გაზ. „დეილი ნიუს"-ის თანამშრომელს უბაასნია ახალშენთა ყოფილ მინისტრის ძმასთან, არტურ ჩემბერლენთან, რა იყო მიზეზი, რომ თქვენმა ძმამ, იოსებმა, სამსახურს დაანება თავიო. არტურს განუცხადებია:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩემის ძმის მდგომარეობა ახლა უფრო მარჯვე და მოხერხებულია. სამინისტროს გარეშე იმას შეუძლიან თავისუფლად იმოქმედოს, ბალფურის მოქმედება-კი სამინისტროს ვერ გასცდება. ჩემის ძმის სამსახურიდან გასვლას სხვა ცვლილება არა მოჰყოლია—რა გარდა იმისა, რომ ამ ჟამად მეტი თავისუფლება აქვს, და ნაკლები პასუხისმგებლობა. ჩემს ძმასა და ბალფურს შორის არავითარი ძირითადი უთანხმოება არ ყოფილა. ვინც-კი რეტორსიას დაუჭერს მხარსა, სულად-სანოვაგეზე ბაჟის დადებასაც დასთანხმდება". როდესაც თანამშრომელს უკითხავს, როგორა ჰფიქრობთ, რა შედეგი ექნება საზოგადო არჩევნებსაო, არტურ ჩემბერლენს უპასუხნია: საეჭვოდ აღარ მიმაჩნია, რომ მთავრობა დამარცხდება. ეს ჩემთვის ცხადი შეიქნა მას შემდეგ, რაც ბალფურმა პელუდეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა. უმთავრესი ძალა, რომელიც სძლევს კონსერვატორებს, — ნონკონფორმისტები არიან, ვინაიდან იგინი გადაუდგნენ კონსერვატორთა დასსო".

— როგორც გაზ. „მატენ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, თვით ედუარდ მეფეც დიდი წინააღმდეგი ყოფილა ჩემბერლენის გეგმისა. მეფეს ამ უკანასკნელ დღეებში განუცხადებია,— სულად-სანოვაგეზე ბაჟის დადება ზარალის მეტს არას მოუტანს ინგლისსაო.

ჯერ-ჯერობით ახალი მინისტრები არ დაუნიშნავთ. გაზ. „სტ. ჟამ. გაზ"-ის მიერ გავრცელებული ხმა ახალ დანიშნულებათა შესახებ, ტყუილი გამოდგა. მეტად საყურადღებოა, მოჰყვებიან თუ არა, სამინისტროში ლორდ მილნერი—ახალშენთა და კიტჩინერი—სამხედრო მინისტრად. გაზ. „დეილ. ტელ."-ი იმ აზრისაა, რომ იგინი არ დაინიშნებიან მინისტრებად. მილნერი ისეა მოქანცული სამხრეთ აფრიკაში ექვსის წლის შრომის შემდეგ, რომ ამ სამძიმო თანამდებობას არ იკისრებსო. კიტჩინერს ხელს შეუშლის შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი ისა, რომ ინდოეთის ჯარის მთავარ სარდლისა არ იყოს, მისი ინგლისს დაბრუნება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის მიერ განსაკუთრებულ დადგენილებით. მეორეც—ბრიტანიის სამხედრო მინისტრად უნდა იყოს კაცი პოლიტიკოსი და საქმის მოყვარე და არა უბრალო ოფიცერიო.

ნარკვევი

„ს. პეტ. ვედ"-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ამ სათაურით: **Переселенцы на Кавказѣ**—კავკასიაში გადასახლებულნი რუსნი. ავტორი ა. მატიუშინსკი, რომელიც კარგა ხანს სცხოვრობდა ტფილისსა და ბაქოში და რომელმაც კარგად იცის ჩვენი ცხოვრება, ამტკიცებს, რომ გლეხთა გადმოსახლებამ რუსეთიდან ვერ გაამართლა ის იმედები, რომელიცა ჰქონდათ გადასახლების მოტრფიალეთაო. საცა კი გადასახლდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გლეხნი, ვერსად ვერ იხეირეს, ან ჰავამ ვერ შეუწყო ხელი, ან ადგილობრივ ვითარების უცოდინარობამ, და გადმოსახლებულნი ზოგან მალიარიამ იმსხვერპლა, ზოგან კიდევ ისე გაუჭირდათ საქმე, რომ იძულებულნი იყვნენ მიენებებინათ ხვნა-თესვა და ქალაქებში გაქცეულიყვნენ დღიურ მუშებად. გადასახლების მოტრფიალენი-კი მაინც გაიძახოდნენ, კიდევ გადავასახლოთ ხალხი და გავამრავლოთ რუსობა კავკასიაშიო. რათა, რა ამბავია? ნუ თუ სიბრალული არა აქვთ ხალხისა. სულ ხალხის სიყვარული აკერიათ პირზედა და ასეთი გამეტება ხალხისა სამსხვერპლოდ რადაა? ეს მოტრფიალენი ჰფიქრობენ, რომ რუსობის გაძლიერება კარგია კავკასიაშიო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ გადმოსახლებულნი ყოვლად საცოდავს მდგომარეობაში ვარდებიან. იმათ არ იციან მოყვანა ისეთის მაღალ-კულტურულის მცენარეულობისა, რომელსაც შეჩვეულნი არიან თვით მკვიდრნი და ამიტომ არც შეუძლიანთ ისარგებლონ კავკასიის ნაყოფიერ მამულებით. ყოველ საქმეში მკვიდრთ უნდა დაეკითხნენ, იმათ რჩევა-დარიგებას უნდა მიჰყვნენ. ამიტომ ისინი-კი ვერ ასწავლიან მკვიდრთ, არამედ მკვიდრნი ასწავლიან რუსებს თავიანთ ენას და ყოველ მხრივ ხელში იჭერენ, ეკონომიურადაც და გონებრივადაც.

მაშ თუ გადასახლების მოტრფიალეთ ისა აქვთ აზრად, რომ გაარუსონ მკვიდრნი კავკასიაშიაში, ესეც ტყუილი იმედია და მათი მეცადინეობა სრულიად ამაოდ მიდისო. ამტკიცებს მატიუშინსკი.

ყოველ ამის შედეგი ის არის, რომ კავკასიაში გადასახლებულნი მხოლოდ დღიურ მუშაობას მისდევენ და თავს ირჩენენ თავიანთ ცოლებისა და ქალიშვილების ოფლით. ცოლები და ქალები მოსამსახურედ მიდიან და ირყვნებიან. ამიტომ კავკასიაში მხოლოდ რუსის ქალობაა შინა მოსამსახურედ, მხოლოდ რუსის ქალობაა საძრახ სახლებშიო.

აი რა შედეგი მოსდევს გარდამეტებულს სურვილს ქვეყნის გარუსებისას, უთავ-ბოლო პოლიტიკანობისაო.

სასამართლოს მატიანე

ქურდობა და კაცის თორნეში დაწვა.

22 იანვარს 1902 წელს, ბორჩალოს მაზრის სოფელ არდვის მღვდლის ტერ-ფვი-

---

მოგცენ; გამოართვით, თუ არა და „ალალი" უთხარით, მადლია... ეჰ, დავილალე .. რაც ლოცვა-კურთხევა მე დაგაკელით ან თქვენ, ან სოფელს, ის ღმერთმა შეგისრულოთ. შვილო, იოკიმე! წადი, მღვდელი მოიყვანე... უზიარებელს ნუ მომკლავთ... ეჰ, შე ოხერო სიკვდილო!..

ავადმყოფი ლოგინზე მიესვენა. თვალცრემლიანმა იოკიმემ ქვითინით გაიხურა ბოსლის კარი და მიაშურა მღვდელს. პატარა ხნის შემდეგ მღვდელიც მოვიდა, ბოსლის კარებთან შეჩერდა, თვალი მოიშინაურა და შემდეგ ავადმყოფებს მიაშურა.

— დაგლოცოთ, შვილო!

— შენდობა, მამაო,—ერთხმად კრუსუნით უთხრეს ორივემ.

— ღმერთმან შეგინდოთ, შვილო! რასა იქთ, როგორა ხართ?

— ძალიან ცუდათ გახლავართ, მამაო!..

— აი თქვე გლახებო, თქვენა! რა გული გაგტეხიათ?! აბა რა გიჭირთ საიმისო? ფიქრი ნუ გაქვთ, წმიდა საიდუმლო მიიღეთ, ცოდვებისაგან განთავისუფლდით, განიწმინდენით და ავადმყოფობაც შეგიმსუბუქდებათ!..—მღვდელმა ამოიღო სანაწილე ყუთი და წმიდა საიდუმლო მოამზადა; იოკიმე და მაგდანი დაითხოვა და ავადმყოფებს აღსარება ათქმევინა. მიაღებინა წმიდა საიდუმლო და სახლში მყოფნი ერთხელ კიდევ გაამხნევა.

— ღმერთმან გილხინოთ, ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა.

გარედ გამოვიდა და მიჰმართა იოკიმეს:—თქვენც, შვილო, რა გული გაგტეხიათ? ფიქრი ნუ გაქვთ, კარგად იქნებიან. მაგათზედ მძიმე ავადმყოფები და შეჭირვებულები მინახავს მორჩენილები.

დაბნელდა და ავადმყოფებიც შესწუხდნენ. ძვალ-ტყავად ნაქცევმა საბამ ერთი ამოიკვნესა, ლოგინში წამოჯდა, ღრმად ჩაცვინული თვალები მიატარ-მოატარა და იკითხა:

— იოკიმე სად არის?..

— აი აქა ვარ, მამა! რა გინდ ?

— ჩემთან მოდი, შვილო, გენაცვალოს მამაი. შენა ხარ შვილო, ჩვენი სანთელ-საკმელი .. დედ-მამისაგან დალოცვილი შვილი ღვთისაგანაც დალოცვილია; მოდი დაგლოცო, შვილო...

— რა გიჭირს, მამა, სამაგისო, კარგათა ხარ...

— ისე შენი მტერი იყვეს, როგორც მე ვარ.. რაღა კარგათა ვარ, შვილო, აგერ არჯალი თავს მადგია... შვილისშვილების უდროვოდ სიკვდილმა წელგული მომწყვიტა და ბოლოც იმან მომიღო... მომე, შვილო, ხელი!—ამ სიტყვებით საბამ ხელი წაატანა იოკიმეს ხელს და ცისკენ თვალები აღაპყრო.

— ყოვლად შემძლებელო მოწყალე უფალო, მისმინე და ეს ჩემი ლოცვა-კურთხევა კეთილად მოუვლინე ამ ჩემს შვილს იოკიმეს...

აქ იოკიმემ ვეღარ შეიმაგრა თავი; თვალთაგან ცრემლები გადმოსქდა და ტირილისაგან აკანკალებულის ხმით ნაყე-ნაყეთ უთხრა:

— თქვენი ერთად-ერთი საყვარელი შვილი განა ანგრე მომიძულეთ, ჩემო ტკბილო მამა, რომ ჩემთან გული აღარ გეტევათ და საუკუნოდ მშორდებით?!..

ამ სიტყვებმა მომაკვდავი საბა ღრმად ჩააფიქრა; თვალ-წინ წამოუდგა ყოველივე, რაც-კი სიყრმიდგან დღემდის—ამ ღრმად მოხუცებამდის—თავს გადაჰხდომოდა; სადაც მრავალი დაჭირვება და დალხინება გამოეცადნა. გამონაცადი გაჭირვებაც კი ისეთ დალხინებად, ტკბილად და სანეტაროდ ეჩვენა, რომ როცა გაახსენდა თავის აწინდელი მდგომარეობა, რის გამოც ვერც ერთს გამონაცადს ვეღარ გაიცდიდა და ის-ის იყო სამუდამოდ ეთხოვებოდა, საუკუნოდ შორდებოდა ამ წუთის სოფელს, ვეღარ გაუძლო გულმა, სინანული მოერია და მისს გამშრალს თვალებს ცრემლები გადმოადინა...

— ეჰ, შვილო! შენი დაშორება მეც მენანება; შენი მუშაობა მეც მენატრება; შენს გვერდით ყოფნა და ტკბილი საუბარი მეც მწყურიან, მაგრამ... ეჰ, შვილო, გვიანღაა... თუნდაც ვიცოცხლო, ვეღარაფერს ვერ ვისიამოვნებ; დაკარგულის შვილის-შვილების თითო მოგონება სიცოცხლეს სულ მთლად მიშხამავს...

ამის გამგონი იოკიმე ქვით-ქვითით ტირილს უმატებდა. საბამ რაკი ნახა, რომ იოკიმე აღარ ჩუმდებოდა, ამ სიტყვებით მიჰმართა:

— რათა, შვილო!.. აბა, რა გატირებს?! განა არ იცი, რომ დედმამა უნდა დაიხოცნენ და შვილები დარჩნენ?! ან მე რომ დაგლოცო, იმიტომ ხომ არ მოვკვდები? იქნება კარგად გავხდე?!.

იოკიმემ გული მოიბრუნა და, როგორც იყო, გაჩუმდა. ამოკვნესის შემდეგ საბამ ზეცისკენ ხელი და თვალები კვლავ აღაპყრო:

— უფალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო! ეს ჩემი შვილი იოკიმე გააძლიერე; ეს მწუხარება დანარჩენს შვილებზე ლხინად შეუცვალე, შენი სახელისა და დიდების ჭირიმე; შენ წარმართე ამისი საქმე კეთილად; შენ უჩვენე ცხოვრების გზა; შენ უცოცხლე და გაუძლიერე შვილები; შენ გაახარე და გაამრავლე ეს ჩემი ნაშიერი!.. ალალი იყვეს, შვილო, ჩემი ამაგი შენზე და შენს მომავალზე; ღმერთმან შაქრად შეგარგოთ, შვილო, ყოველივე ჩემი ამაგი!.. ღმერთმან ეს სოფელიც დალოცოს, აკურთხოს გააძლიეროს...

აქ საბა ბალიშზე მიესვენა. იოკიმე მამის ფეხთით ტახტზე ჩამოჯდა და თავჩაქინდრული მწარე ფიქრებს მიეცა.

— ღვინო აღარ დარჩა, შვილო?—იკითხა საბამ.

— როგორ არა, მამა! ერთი დოქი ღვინო შევინახე; გინდა მოგიტანო?

— არა, შვილო, მე აღარა მინდა·რა. . მეტი არ დარჩა?

— არა, მამა, მეტი არ დარჩა.

— თუ აგვიტყდეს რამე, შვილო, ჩვენებიანთ გიას გამოართვი ღვინო; დაფქული ბლომად არის... შესაწევრად რომ ფული შემოგვივიდა, შვილო, ცხვრები იმითი იყიდე; ერთის მეტს მღვდელსაც ნუ გამოეკიდები, რაც შეიძლო იმას ეცადე, რომ იაფად მორჩე; არამცა და არამც ვალი არ აიღო! მართლა, ჩვენი სახნისი და ჯამბარა იმ წინაზე გოგიას ვათხოვე, სხვაგან არ დაუწყო ძებნა. . სარცხი და მაწაწური ბეღლის ჩარდახშია.. ჩემ ყუთში ერთი კონა მახორკაა, შვილო, და ტატოს მიეცი, მადლია.. ხუთი კასრი რომ ში დავფქვი იმ დღესა და... მინდი არ მიმიცია; მიეცი, შვილო, ჩემს სულს ნუ დაუმძიმებ. რაც საჭირო და გამოსადეგი ქაღალდებია, სულ ჩემს ყუთშია...

— მაშველეთ, თქვენი ჭირიმეთ!—დაიკივლა მაგდანმა და გულ-შეწუხებულს დედამთილს მივარდა. იოკიმე მიიჭრა დედასთან და დაუწყო მობრუნება: უწევდა ყბებს, ლავიწებს; ჰკბენდა თითზე; მიმქნარს, გაყვითლებულს სახე გულმკერდზე წყლით დასველებულს ხელს უსვებდა. ავადმყოფმა რამდენჯერმე ამოიკვნესა და მობრუნების შემდეგ შვილს ყვედრება დაუწყო:

— რაზედ დამანტვრიეთ ყბები... ლავიწები?!.. როცა შეწუხებულის მობრუნება გინდათ, ცხვირის ნესტოებზე ძმარი... უნდა... მოუსვათ.

არ გაიარა ხუთმა წამმა, რომ კიდევ შეუწუხდა გული. მაგდანმა მაშინვე ძმარი მოარბენინა და ცხვირის ნესტოებზედ მოუსვა. ავადმყოფი მობრუნდა და მიმტკნარებულის ხმით და კვნესით უთხრა:

— რაღას მაწვალებთ .. ხომ მხედავთ თქვენი აღარა ვარ... მითხარით, შვილო, „ალალი". ისინი „ალალის" თქმას ვერა ბედავდნენ; დედა არ მოგვიკლასო.

— ნუ, შენი ჭირიმე, დედა, ნუ დაგვაობლებ!—ჩასძახოდნენ იოაკიმე და მაგდანი.

ავადმყოფს უკანასკნელად შეუწუხდა გული, თუმცა ბევრი ეცადნენ; მაგრამ ამაოდ. იმედ-დაკარგულნი ცოლ-ქმარი დაეკონნენ და ტირილით მისძახოდნენ: „ალალი იყოს ჩვენი ამაგი შენზე და შენი ამაგი ჩვენზე, ჩვენო ტკბილო დედა! მშვიდობით, ჩვენო ტკბილო დედა, მშვიდობით!.. მოგვიკითხე ჩვენი პატარა შვილები..."

— ვაიმე, დედავ! მიშველეთ.. ვკვდები .. მიშვ...—წამოიძახა გულ-შეწუხებულმა საბამ, რომლის შემდეგ ისე ტკბილად და წყნარად დალია სული, რომ იოკიმემ და მაგდანმა ვერაფერი გაიგეს. როცა დედას თვალები დაუხუჭეს, პირი მოუკუმეს, გულხელი დაუკრიფეს და ფეხები შეუკრეს, მიხედეს საბას, მაგრამ იმისი სხეული უსულოდ დახვდათ. თავზარდაცემულნი მიეხვივნენ ტირილით:

— ალალი იყვეს ჩვენი ამაგი შენზე და შენი ამაგი ჩვენზე.., მოგვიკითხე ჩვენი პატარა შვილები!.. რად მოგვიძულეთ და დაგვაობლეთ, ჩვენო ტკბილო დედმამავ!.. რა გაწყენინეთ ისეთი, რომ ასე ერთად სამუდამოდ შემოგვწყერით და გაგვიფრინდით?!. ვაი ჩვენს თავს, რომ თქვენს ტკბილს ალერსს და „გამზრდელს" დარიგებას ვეღარ გავიგონებთ!..

ბევრის ტირილის და ვაი-უის შემდეგ საბასაც დაუკრიფეს გულხელი. ორივეს ლოგინები გამოაცალეს და სალთად დაასვენეს. იოკიმემ მეზობლებს შეატყობინა და დამარხვის თადარიგს შეუდგა. თუმცა საბამ ანდერძად უბრალოდ დამარხვა და ვალის აუღებლობა დაავალა, მაგრამ იოკიმემ ამაგდარს დედმამას ეს არ აკადრა. ქელეხში სათითაო ცხვარი და მსხვილფეხი საქონელი დაუკლა. სხვა ნამზადისიც სანაქებო მოამზადა; სამი მღვდელი მოიწვია და სახელოვანად დაასაფლავა. დედმამის ამ გვარის გაპატიოსნებისათვის იოკიმეს ბევრი ლოცავდა. საბას და მის მეუღლის ღირსეულად დამარხვას ბევრი შენატროდა და ამბობდა: „ბედნიერნი იყვნენ და ღირსეულადაც დაიმარხნენო".

(დასასრული იქნება)

ვიანცის სახლში შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი. ხმაურობა გამოჰღვიძებია მღვდლის უფროს შვილს და გასულა სანთლით მეორე ოთახში დასათვალიერებლად. რადგან ვერაფერი [illegible] უნახავს, ისევ დაბრუნებულა. მეორე დღეს, როცა სახლი დაუთვალიერებიათ, უნახავთ, რომ ბოროტ-განმზრახველთ გაეტანათ ქალის ტანისამოსი, ვერცხლეული და სხვა ნივთები. მღვდლის მოსამსახურეს ჰასან-ნაბი-ოღლის საჯინიბოში სძინებია. მეორე დღეს ვერც ეს ნაბი-ოღლი უნახავთ, ამიტომ ეჭვი ქონიათ, ქურდობა იმან ჩაიდინაო. მალე სოფელში ხმა გავრცელდა, ქურდობა ჩაიდინა ამ სოფლის მცხოვრებმა აზნ. არტუშ ქალანთაროვმა თავის მსახურის არშაკ ჩერქეზოვისა და ვასილ პარავოვთან ერთადო. პოლიციას სამივე დაუპატიმრებია. გამოკითხვის დროს გამოტყდომილა მხოლოდ ჩერქეზოვი. ამას უთქვამს, საქურდლად ქალანთაროვმა წაგვიყვანა, 22 იანვარს გავტეხეთ ოვიანცის სახლი და გამოვიტანეთ ნივთები. ქურდობა შეგვიტყო სახურმა ჰასან-ნაბი-ოღლიმ. შინ დაბრუნებისას ქალანთაროვმა გვირჩია, ჰასანი მოვკლათ და სადმე გადავაგდოთ. სამივენი წავედით, მოვკალით ჰასანი და ტომრით მოვიტანეთ ქალანთაროვის სახლში და ბოსლის უკან ჩავფალითო. შემდეგში ქალანთაროვის რჩევით მოკლულის გვამი ერთს ღამეს თონეში ჩავაგდეთ და დავწვითო. პოლიციის გამოძიებით ყველაფერი მართალი გამოდგა. ამ რამდენისამე თვის წინად ეს საქმე გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლომ. ჩერქეზოვი აქაც გამოტყდა, ხოლო ქალანთაროვი და პარავოვი უარს ამბობდნენ, არა ვიცით რა ამ ამბისაო.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა სამივეს ყოველივე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: არტუშ ქალანთაროვს 15 წლით და არშაკ ჩერქეზოვსა და პარავოვს 6 წლით. ბრალდებულებმა საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანეს. ქალანთაროვს იცავდა პეტერბურგელი ვექილი ო. გრუზენბერგი; პალატაში ბრალდებულთა ვექილების სიტყვის წარმოთქმამ გასტანა საღამოს 4 საათამდე.

18 სექტემბერს სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი. პალატამაც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა კატორღაში გაგზავნა: არტუშ ქალანთაროვს 12 წლით, ხოლო ვასილ პარავოვს და არშაკ ჩერქეზოვს—6—8 წლით.

ბიბლიოგრაფია

ცხოვრება წმ. ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლის კათალიკოზის მიერ, მეათე საუკუნეში, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა მეთერთმეტე—მეთორმეტე საუკუნის ხელნაწერისაგან,

შემდგენელი ამ ისტორიულ მოთხრობისა დიდი არსენი, ქართლის კათალიკოზი, შემდეგ ცნობებს მოგვცემს იმ წყაროთა შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა წმ. ნინოს ცხოვრების აღწერის დროს: „ესე ნეტარისა ნინოჲს ცხოვრებაჲ შეუწყობლად და განბნეულად ქართლისა მოქცევისათანა და ჟამნავსა მეფეთასა თანა ადრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით: რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუაჲ იაკობ მღვდლისაგან, სხუაჲ აბიათარისაგან, სხუაჲ კუალად სიდონიაჲსაგან. გარნა წინაუკუანა და უკუანაწარ იგივე და ერთი პირი და ამისთჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უხმარ და ვერ საცნაურ. ამის პირისათჳს დაფარულად მდებარე იყო და თანა წარვჭჳდებოდეთ მოთხრობასა ღვაწლისა მისისასა დღესა კსენებისა მისისასა. რომელი ესე დიდი ზღვევაჲ არს ყოველთა მორწმუნეთათჳს და უფროჲსად ჩუენ ქართველთა სასწაულთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა დავიწყებასა მიცემაჲ, რომელი იგი ღმერთმან ადიდა და რომლისა მიერ განათლდა ნათესავი ჩუენი და ღუთისმეცნიერებაჲ ჰპოვა. ამისათჳს ვიკადრე თჳთ მის წმიდისა მეოხებათა თანა შეწევნითა და თქუენთა ბრძანებათა მრავლებითა მე უნდომან მტუერმან ფერკთა თქუენთამან უღვლად უდებად ცხოვრებულმან და უღირსმან არსენი აღწერად მეფობასა დიმიტრისსა... მიწუკა ლიტონითა სიტყჳთა იგი პირი, რომელი ძუელსა შინა სწერია, არცა შემატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყჳსა და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს“.

ეს ძველი ხელნაწერი შეუსწავლია და შეუდარებია სხვა ამავე თხზულების ვარიანტებთან და პირვანდელი ტექსტი სრულიად აღუდგენია მღვდელს პ. კარბელაშვილს, რომელიც ამის გამო სწერს:

„1900 წლის შემოდგომაზედ ჩვენი საეკლესიო მუზეუმის გაურჩეველ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა რაოდენიმე ნაწილი დიდის არსენ ქართლის კათალიკოზის კრებულისა, ხელნაწერი XI, ანუ XII საუკუნისა, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა—„სიბრძნე ბალავარისა“, ცხოვრებანი—შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, აბიბოს ნეკრესელისა, დიოლოღონი გრიგოლი რომთა პაპისა და სხ. და ესე წმ. ნინოს ცხოვრება, რომელიც უძვირფასეს ისტორიულ წყაროთა შორის უნდა ჩაითვალოს, რადგან X საუკუნეში უკვე ცნობილნი ყოფილან: ქართლის მოქცევა, მირიან მეფის, აბიათარ და იაკობ მღვდელთა, სიდონიას მოთხრობანი, დღევანდელი ქართლის ცხოვრების თანახმად და ჟამნავი მეფეთა (ქართლის ცხოვრება), რომელთაგან არსენ კათალიკოზს შეუდგენია ეკლესიაში საკითხავად, სვინაქსარად. ეს მშვენიერი ხელნაწერი ძალიან გაფუჭებულია სინესტისა და სიძველისაგან და აქა-იქა ადგილები აკლდა. მაგრამ მეორე პირიც ვიშოვეთ (ასე XVIII საუკ. დამდეგისა) ამავე ვარიანტისა და ნაკლი აქედგან შევავსეთ. ძველი ხელნაწერი უკეთესი აღმოჩნდა, გაურყვნელი. ამიტომ მისი ტექსტი დაიბეჭდა აკადემიის ასოთი, ხოლო ნაკლი დაბეჭდილია განსხვავებულის ვენის ასოებით“.

„ივერიის“ ფოსტა

ბათუმს. მ. ჩ—ლს. თქვენს თხოვნას ავასრულებთ, თუ ბეჯითად შეასრულებთ თქვენს დაპირებას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა მიიღო სოფიაში მყოფ მაკედონელთა ახალშენის დეპუტაცია, რომელმაც ჰკითხა მას, როგორ შეხედავს მაკედონიის მთავრობა, მაკედონიის საკითხს. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, რომ არც ერთი სხვა მთავრობა ისე გულით არ მოჰკიდებია მაკედონელთა და ადრიანოპოლელთა ინტერესებს, როგორც აწინდელი. მთავრობის შეხედულება, რომელიც მუდამ ზრუნავდა ოსმალეთთან მეგობრულს განწყობილებასა და ერთსულოვნებაზე ყველა სადავო საქმეების შესახებ, არ შეცვლილა. მაკედონიასა და ადრიანოპოლში მყოფ ძმათა ინტერესებს ის ისე უცქერის, როგორც საკუთარს; ბულგარიის მთავრობისათვის ბულგარიის უშიშროების ინტერესებს ყველას მოვალეობასა და სიმპატიებზე უმაღლესი ადგილი უნდა ეჭიროს ოსმალეთში მყოფ ძმათა შესახებ.

ლონდონი. ტოკიოს მყოფ რუსეთის ელჩის ბარონ როზენისაგან პორტ-არტურის ნახვა მოხდა პეტერბურგიდგან ბრძანებით და აზრად ჰქონდა მოლაპარაკებოდა მეფის მოადგილე იაპონიის წინადადებათა გამო. ბარონ როზენი 21 სექტემბერს დაბრუნდება, რის შემდეგაც, როგორც ჰფიქრობენ, რუს-იაპონელთა მოლაპარაკება დასრულდებაო.

ვენა დასავლეთ ვაგზალთან შეხვედრის დროს ხელმწიფე იმპერატორთან ერც-ჰერცოგი ოტტონი აღასრულებს კორპუსის კომანდირის თანამდებობას, გრაფ-ისკიულის მაგივრად, რომელიც მათ უდიდებულესობასთან იქმნება.

პორტ არტური. ჩინეთის გაზეთების სიტყვით, კალგანელმა ჩაით მოვაჭრეებმა ითხოვეს დაიცვან ქარავანი ხუნხუზთაგან.

იაპონიის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ სასურველია იაპონიის სკოლებში რუსული ენის სწავლება შემოიღონო.

ბუდაპეშტი. მინისტრ-პრეზიდენტი გრაფი კუენი სამსახურიდან გადადგა.—მიურცშტეგი ემზადება დაუხვდეს მეფეს და მის უმაღლესს სტუმრებს. მაღალ მთებს შუა მდებარე დაბა მორთულია ორასი კამარათი, სახლები მდიდრულად არის მორთული იმპერატორის სასახლეში, მდინარე მიურცის პირზე, ყოველივე მზად არის მათის უდიდებულესობის მისაღებად. მეორე სართულში მოსასვენებელი ოთახები ორთავე მეფეთათვის და ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდისათვის. ციხე-დარბაზში მოთავსდება ამალა ხელმწიფე იმპერატორისა, მეორე გოფმეისტერი თავადი მონტონუოვი, გენერალ-ადიუტანტი პაარი, გრაფი კაპნისტი და ლეიბ-მედიკები იმპერატორთა. გრაფ ლამზდორფისა და გოლუხოვსკისათვის შვეიცარიულ გემოვნებაზე დამზადებულია ვილა შენაური. კორპუსის კომანდირი ისკიული და ელჩი ერენტალი, რჩებიან ტყის გამგეობის სახლში. გასანათებლად სანადირო ციხე-დარბაზისა და უმთავრესი ქუჩისა დადგეს სპირტის ლამპები. მათი უდიდებულესობანი მობრძანდებიან 17 სექტემბერს საღამოთი, მერე იქნება სადილი და საღამოთი ჩაი. ხუთშაბათს და პარასკევს დილით ნადირობა იქნება გარეულ თხებზე, შაბათს დილით უნდათ ინადირონ ირმებზე, მერე იქნება საუზმე და წაბრძანდებიან.

18 სექტემბერი

პეტერბურგი. «მართებლობის მოამბე»-ში დაბეჭდილია: ხელმწიფე იმპერატორი 17 სექტემბერს ვენას მიბრძანდა. სადგურზედ მის უდიდებულესობას მიეგებნენ იმპერატორი ფრანც-იოსები და ერც-ჰერცოგები. სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი ეტლით შენბრუნის დარბაზში მიბრძანდნენ, სადაც სადღესასწაულო საუზმე იყო. ნაშუადღევის 2 საათსა და 35 წუთს მათი უდიდებულესობანი ავსტრიის საიმპერატორო მატარებლით სანადიროდ გაემგზავრნენ მიურცშტეგს, სადაც ჩამოხდნენ საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე.

სტამბოლი. სადაც ჯარმა და ბაშიბუზუკებმა სისაძაგლე ჩაიდინეს, იქ სამხედრო სასამართლო გამოიძიებს და დასჯის დამნაშავეთ.—პორტამ გუშინ დიპლომატებისაგან რჩევა მიიღო ძალმომრეობის მოსპობის შესახებ ალბანიის რადიფების მხრივ, დაითხოვე რადიფებიო. ჰილმი-ფაშა და პორტა რამდენჯერმე აპირობდა ეს ღონისძიება მიეღო, მაგრამ ხონთქარი აგვიანებდა.

ბერლინი. პროფესორი რუდოლფ-ფოლბი, რომელმაც სახელი გაითქვა თავის წინასწარმეტყველობით, გარდაიცვალა 16 სექტემბერს შენბერგში, ბერლინის ახლო.

სოფია. მინისტრთა საბჭო 16 სექტემბრიდგან შეუდგა ინსტრუქციის შემუშავებას ნაჩევიჩის მოქმედების შესახებ სტამბოლში. მინისტრ-პრეზიდენტმა შესჩივლა ოსმალეთის კომისარს, ოსმალეთი კვალად უმატებს ჯარს საზღვარზეო. კომისარმა აუწყა, შეჩერებულია ჯარის გადაყვანა მონასტირის ვილაიეტიდგან ადრიანოპოლისაშიო.

ბუდაპეშტი. პალატის კრება გადიდო ახალ კაბინეტის შედგენამდე.

ვენა. ხელმწიფე იმპერატორი დიდის ამალით, რომელშიაც გრაფი ლამზდორფიც არის, მობრძანდა მშვენივრად მორთულ დასავლეთის სადგურზე, სადაც მის უდიდებულესობას მიეგება იმპერატორი, ერც-ჰერცოგები, რუსეთის საელჩოს წევრნი, ბარონ ერენტალი, ქალაქის კომენდანტი, რუსეთის უფროსი კონსული ვენაში და რუსეთის კონსული ბუდაპეშტში. რუსეთის ელჩი ხელმწიფეს გზაში მიეგება. მის უდიდებულესობის ამალაში ჩარიცხულნიც გზაში მიეგებნენ მის უდიდებულესობას. სადგურზედ ელოდა საპატიო დარაჯი ბაირაღითა და მუსიკით, ერც-ჰერცოგ ოტტონის მეთაურობით. ერც-ჰერცოგნი, რომელნიც რუსის ჯარის შეფებად არიან შერიცხულნი, რუსულ მუნდირებითა და ორდენებით იყვნენ. როდესაც მატარებელი მოახლოვდა, გაისმა რუსული გიმნი. იმპერატორები ერთმანერთს გულ მხურვალედ მიესალმნენ. ავსტრიის იმპერატორს ეცვა მუნდირი თავის კექსჰოლმის პოლკისა, ხოლო ხელმწიფე იმპერატორს—მუნდირი თვის ავსტრიელთა ულანის პოლკისა. ორმა თვით-მპყრობელმა ხელი-ხელს მისცა ორჯერ ამბორ-ჰყო და ორთავემ გაუარეს საპატიო დარაჯს; შემდეგ წარუდგნენ ერც-ჰერცოგები. როდესაც გათავდა წარდგენა ამალისა და სხვა ოფიციალურ მოხელეთა, თვით-მპყრობელნი შენბრუნს წაბრძანდნენ. ამ დროს ზარბაზნების გრიალი გაისმა. ჯარი მთელის გზის ორთავე მხარეს იდგა. დიდძალი ხალხი აღტაცებით დაუხვდა იმპერატორსა და უდიდებულეს სტუმარს. რამდენსამე ადგილს გზაზე მშვენივრად მორთული ალყები იყო გადარკალული. შენბრუნის დარბაზს რო მიბრძანდნენ, ზარბაზნებმა დაიგრიალეს. შენბრუნის დარბაზში ხელმწიფე იმპერატორს მიეგებნენ წარჩინებულნი მოხელენი, ერც-ჰერცოგები, გრაფ გოლუხოვსკი, კერბერი, დანარჩენი მინისტრები, უმთავრეს შტაბის უფროსი ბეკერი და უფროსი მწყობელი ჯართა რაზმებისა. შემდეგ ცოტა ხანს მეფენი სასახლის სხვა ოთახებში მიბრძანდნენ. დარი მშვენიერია.

მიურცშტეგი. ხელმწიფე იმპერატორი, ავსტრიის იმპერატორი და ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდი, სანადიროდ მოწვეულებითურთ და ამალით, საღამოს აქ მობრძანდნენ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,45
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,47½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 18 64,	442 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335¼ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	285¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92½ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9300 გაყ.
აქციები „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	377 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ადგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

განცხადებანი

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—21)

ხეხილის ნერგები
საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად **ფარსადან იაკ. ავსარქისოვის** მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—**სკრა კავ. რკ.-გზის სადგური.** ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: **ქ. გორში ფარ. იაკ. ავსარქისოვს.**
კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—5)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება
კბილები
და მათი მოვლა-შენახვა
სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.
იყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—15)

საწყობი ქაღალდის
მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვის ამხანაგობის ნოვოგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.
ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.
საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**
ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—25)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяногиг. семинаріи დროებით-რედაქტორი **ბ. ყიფშიძე**, გამომცემელი **ა. ხარაჯიშვილი.**